

იმერეთის მდინარეთა ხეობების გეომორფოლოგიური შეფასება

მარიამ ჯაფოშვილი

marijafoshvili@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 0179, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.#3

იმერეთის რელიეფის იერსახის შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მდინარეულ ხეობებს, რომლებიც 2017 წელს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააფინანსა სტუდენტური პროექტი „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ძეგლების კვლევა“. ამ პროექტის ფარგლებში შეფასდა და გამოიკვეთა მათი ტურისტული პოტენციალი. მდინარეული ხეობები გამოირჩევა უნიკალური პანორამული ხედებით, რაც ტურისტებისთვის საინტერესოს და მიმზიდველს გახდის, ხეობებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის შემთხვევაში.

მდინარეთა ხეობების ზოგიერთ მონაკვეთში ზიპლანინის მოწყობით, შესაძებელია ექსტრემალური ტურიზმის განვითარება. ეს ობიექტები სამწუხაროდ ფართო საზოგადოებისთვის არაა ცნობილი და აუცილებელია მათი პოპულარიზაცია, მათი მიმართულებით მარშუტების მოწყობა და ამ მარშუტებში ჩართვა, როგორც ადგილობრივი ისე უცხოელი ტურისტების. ისინი საინტერესა ასევე გეომორფოლოგიური თვასაზრისით, სხვადასხვა ლითოლოგიური შედგენილობისა და ტექტონიკური სტრუქტურების ფარგლებში გაედინებიან და ამიტომ გააჩნიათ ხეობათა მორფოლოგიური სიჭრელე, თუმცა მთიანი რელიეფის სიჭარბის გამო მაინც დომინირებულია ეროზიული, ვიწრო, V- სებრი და კანიონისებრი ხეობათა მორფოლოგიური ტიპები.

იმერეთში გამორჩეული მდინარეული ხეობებია: ყვირილა, წყალწითელა, ძუსა, რიონი, ციხისწყალი, ძირულა, ჯრუჭულა, დუმალა, ჩხერიმელა, ბუჯა, კაცხურა, ტყიბულას, ხანისწყლი, ვანისწყლი, საკრაულა და სხვ.